

ინფორმაცია

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-ის პანდემიის გავრცელების გააქტიურებიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან არ განახლებულა 2021 წლის მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილია ძირითადი საშემოსავლო პარამეტრების უცვლელი ვერსიით, ხოლო გადასახდელების ნაწილში განხორციელდა შიდაცვლილებები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მიხედვით არაპროპორციულად არის გადანაწილებული, აქედან გამომდინარე სასურველია, რომ ტერიტორიულ ერთეულებში დაემატოს მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე სასურველია საცხოვრებელი კორპუსების გადახურვისათვის გათვალისწინებულ იქნას 100 ათასი ლარი.	<ul style="list-style-type: none"> ✓ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია მცირე ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დამატებითი თანხები; ✓ საცხოვრებელი კორპუსების გადახურვების ნაწილში მოხდა 50 ათასი ლარის გათვალისწინება.
სასურველია დაიხვეწოს და გაფართოვდეს სოციალური პროგრამები, მ.შ.: მინიმალური სასურსათო კვების პროგრამაში და დამატებით გათვალისწინებულ იქნას მომლოდინეთა ჩართვა; აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში სასურველია გათვალისწინებულ იქნას დამატებითი 2 საათის ანაზღაურება მანც; შინ მოვლის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას 50 ათასი ლარი; ბავშვთა დაცვის პროგრამისთვის -25 ათასი ლარი.	<ul style="list-style-type: none"> ✓ მინიმალური სასურსათო პროგრამის დაფინანსება გაიზარდა და შესაბამისად გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობაც 2050 ბენეფიციარამდე; ✓ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა დამატებით 2 საათის ანაზღაურება; ✓ შინ მოვლის პროგრამის გასათვალისწინებლად მიმდინარეობს საჭირო პროცედურები და დასრულების თანავე აისახება 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის სახით; ✓ წარმოდგენილ პროექტში დამატებით გათვალისწინებულ იქნა ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება ამ ეტაპზე 17,5 ათასი ლარის ოდენობით.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
დასარეგულირებელია ხელფასის საკითხი ააიპ ჯანდაცვის ცენტრში, ააიპ ისტორიული მუზეუმში და ააიპ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ცენტრში;	<ul style="list-style-type: none"> ✓ წარმოდგენილ პროექტში ჯანდაცვის ცენტრის პროგრამა გაიზარდა 21,4 ათასი ლარით; ✓ ასევე მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება გამოთქმული შენიშვნის საფუძველზე გაიზარდა 10 ათასი ლარით; ✓ შშმ პირთა ცენტრის ხელშეწყობის პროგრამა გაიზარდა 5,4 ათასი ლარით;
ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის, მისი ათვისების და კონტროლის მიზნით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქონების მართვის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის და საფინანსო სამსახურების გაძლიერებას შიდა საკადრო რესურსების ხარჯზე;	✓ წარმოდგენილ პროექტში შესაბამისი ოპტიმალური გადაწყვეტილების გათვალისწინებით განხორციელდა არქიტექტურის სამსახურში 2 შტატის დამატება, ინფრასტრუქტურის სამსახურში 2 სამშატო ერთეულის დამატება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში 4 სამშატო ერთეულის დამატება.
სასურველია ააიპ რუსთავის მუნიციპალური ბიბლიოთეკების პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას მწერალთა ხელშეწყობისათვის - 7.5 ათასი ლარი;	✓ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 7,5 ათასი ლარი და დამატებით განხორციელდა ბიბლიოთეკარებისთვის ხელფასების მატება.
დამატებით დასაბუთებას და დაზუსტებას ითხოვს შპს მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამა;	✓ მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა განხილვა და შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით გადაჯგუფდა თანხები დოტაციურ დაფინანსებასა და სოციალური შეღავათების პროგრამებში, რამაც გამოიწვია ახალი კომპონენტის დამატება სტუდენტთა ტრანსპორტით შეღავათების დაწესების კუთხით.
ააიპ რუსთავის სერვისცენტრის პროგრამაში ასახული არ არის განათების ბოძების შეძენა, ელექტრო ენერჯის აღრიცხვის მოწესრიგება, ნაწილობრივ გათვალისწინებულია მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის დაფინანსება.	<ul style="list-style-type: none"> ✓ განათების ბოძების ნაწილის შეძენა მიმდინარეობს 2020 წლის ბოლოსთვის დარჩენილი ეკონომიების ხარჯზე, ხოლო ნაწილის შესაძენი თანხის მობილიზება მოხდება 2021 წლის განმავლობაში; ✓ რაც შეეხება ელ. ენერჯის აღრიცხვის მოწესრიგებას, ამჟამად მიმდინარეობს მონიტორინგი და საპილოტე ექსპერიმენტი, რომლის დასრულების შემდგომ გამოიკვეთება საჭირო თანხის ოდენობა და მოხდება 2021 წლის ბიუჯეტის შესაბამის ცვლილებაში გათვალისწინება.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მაღალსართულიან სახლებში ლიფტებით სარგებლობის მოწესრიგების, მოვლა-პატრონობის და კონტროლის მიზნით, ააიპ რუსთავეის კორპუსის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი სტრუქტურის შექმნა;</p>	<p>✓ მიმდინარეობს საკითხის იურიდიულ ჭრილში განხილვა; ამ ეტაპზე წარმოდგენილ ცვლილებაში მოხდა ლიფტების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხის გამოყოფა ამხანაგობების პროგრამიდან და შესაბამისი იურიდიული პროცედურებისა დასრულების შემდგომ განხორციელდება სტრუქტურული ცვლილებაც.</p>
<p>ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი ხარჯების დაფინანსების მიზნით, გამოძებნილ იქნას შესაბამისი შიდა ან დამატებითი სახსრები და ასახულ იქნას 2021 წლის ბიუჯეტში.</p>	<p>✓ მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებით კიდევ გაანალიზებულ იქნა, როგორც შემოსავლითი, ასევე ხარჯვითი ნაწილი და ოპტიმალური გადაწყვეტილების შედეგად განხორციელდა ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინება.</p>